ᲒᲐᲜ

3.1/10/507-4

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება

ქ. თბილისი **31 დეკემბერი, 2013 წელი**

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მერია (შემდგომში – შემსყიდველი), ქ. თბილისის მერის მოადგილის დავით ნინიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „გრინსერვისი +" (შემდგომში – მიმწოდებელი), მისი დირექტორის ლაშა ფურცხვანიძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 **ხელშეკრულების საგანია:** ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, ქ. თბილისში, რიყის პარკის ტერიტორიის მოვლა-პატრონობის მომსახურების შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის III პუნქტის ბ ქვეპუნქტის შესაბამისად (2013 წლის 17 დეკემბრის #10-25/13351640 წერილი).
1.2 **ხელშეკრულების ობიექტია:** ქ. თბილისში, რიყის პარკის ტერიტორიის მოვლა-პატრონობის მომსახურება;
1.3. **კლასიფიკატორის კოდი – 77300000;**

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარში.
2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **8810,60** (რვა ათას რვაასათი ლარი და 60 თეთრი) ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით.
2.3. გასაწევი მომსახურების მოცულობისა და ღირებულების დეტალური აღწერა თან ახლავს წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3.მომსახურების გაწევის პირობები

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია მომუშავე ყველა მუშა უზრუნველყოს სპეც. ტანსაცმლით.
3.2მიმწოდებელი ვალდებულია ექსპლუატაცია გაუწიოს ტერიტორიაზე არსებულ სარწყავ ქსელებს, დაუყოვნებლივ აღმოფხრას წარმოქმნილი მცირე დაზიანება.
3.3მომსახურების გაწევის ვადა: 2014 წლის 2 იანვრიდან 2014 წლის 31 იანვრის ჩათვლით.
3.4 მომსახურების გაწევის ადგილი – ქ. თბილისი, რიყის პარკის ტერიტორია;

4. გასაწევი მომსახურების ხარისხი

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
4.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

5.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პერიოდულ ინსპექტირებას და კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი.
5.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის თანამშრომლები.
5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო

პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტში მითითებული პირები).
6.2 ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული მომსახურების მოცულობები შესაძლებელია შეიცვალოს აღმოჩენილი გასაწევი მომსახურების გათვალისწინებით, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.
6.3 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
7.2 ანგარიშსწორება მოხდება 2014 წლის თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, ეტაპობრივად, ფაქტიურად გაწეული მომსახურებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში.
7.3 წინსაწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება;

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა, და გადახდის ვადები)

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.
8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის (გარდა შესრულების ვადის გადაცილებისათვის) მიმწოდებელს დაეკისრება საჯარიმო სანქცია ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
8.3 მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შემსყიდველის მიერ განსაზღვრული ყოველ კონკრეტული მოთხოვნის შესრულების ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,5%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
8.3 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვეში.
8.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.5 თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტის მოთხოვნებს, დაეკისრება პირგასამტეხლო, ჩასარიცხი თანხის 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებლის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.
9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორჯერ დარღვევის შემთხვევაში;
ბ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების 10 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.
გ)თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
9.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
10.2ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
10.4იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
11.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

12.1 მხარე ვალდებულია მეორე მხარეს წარუდგინოს წერილობითი განცხადება მესამე პირისათვის მთლიანი ან დარჩენილი უფლება-მოვალეობების გადაცემის თაობაზე, აგრეთვე, მესამე პირის წერილობითი თანხმობა ხელშეკრულებით განსაზღვრული მთლიანი ან დარჩენილი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.
12.2 მხარეებს არა აქვთ უფლება მხარეთა (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი) წერილობითი შეთანხმების გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცენ მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

12.3 უფლება-მოვალეობების გადაცემა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი).

13.ფასები

13.1 მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული შესასრულებელი ვალდებულების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებას.
13.2 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა.
13.3 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
13.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.
13.5 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

14. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

14.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.
14.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ, შეუსაძლებელია გადაწყდეს მხარეთა გონივრული შეთანხმებით ან/და მოგვარდეს პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით სამართლიანობის ფარგლებში.
15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების თაობაზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს
15.3 ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს
15.4 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
15.5 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 2014 წლის 01 ივნისის ჩათვლით.

17. სხვა პირობები

17.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
17.2.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

18. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ქ. თბილისის მერია	შ.პ.ს „გრინსერვისი+"
_____	_____
დავით ნინიძე მერის მოადგილე	ლაშა ფურცხვანიძე დირექტორი
ქ. თბილისის მერია ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7 სს "ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: **LBRTGE22** საიდ. კოდი: 204521794 ა/ა **GE95LB0125152101627000**	შპს "გრინსერვისი+" ქ. თბილისი, დიდი ლილო სს "საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი: **BAGAGE22** საიდ. კოდი: 406030370 ა/ა: **GE12BG0000000260105900**

		ღირებულება
	რიყის პარკი მოვლა-პატრონობა 2014 წლის იანვარი	სულ
I	რიყის პარკი	6723,72930
II.	ტერიტორიებზე არსებული საყვავილე თარგების მოწყობა და მოვლა პატრონობა (საჭიროებისამებრ)	21,86870
III.	ტერიტორიებზე წყლისა და ელექტროენერგიის დანახარჯი	2065,00000
	სულ	**8810,60**

ქ. თბილისის მერია

დავით ნინიძე
ქ. თბილისის მერის მოადგილე

შპს "გრინსერვისი +"

ლაშა ფურცხვანიძე
დირექტორი

ქ.	ტერიტორიებზე არსებული საყვავილე თარგების მოწყობა და მოვლა პატრონობა *(საჭიროებისამებრ)*					
№	მომსახურების დასახელება	ერთეულის საზომი	ერთეულზე ფასდადებული ხარჯთაღრიცხვა	ერთეულზე ფაქტიური	ღირებულება	
					ერთეულის	სულ
1.	ყვავილების დასარგავად ნიადაგის გადაბარვა და ფოცხით მოსწორება *(დამკვეთის მიერ მითითებული თარგის შესაბამისად)*	ც.	60000	0	0,00100	0,00000
2	ყვავილების დარგვა	ც.	60000	0	0,00100	0,00000
3	ყვავილების ამოღება	ც.	60000	0	0,00100	0,00000
4	ორგანული სასუქის შეძენა *(დამწვარი ნაკელი)*	კგ.	6000	0	0,01000	0,00000
5	ორგანული სასუქის შეტანა *(1ც.-ზე 0,1-0,12კგ.)*	ც.	60000	0	0,01000	0,00000
6	მინერალური სასუქის შეძენა *(ამონიუმის გვარჯილა)*	კგ.	300	0	0,01000	0,00000
7	მინერალური სასუქის შეტანა *(1ც.-ზე 0,005-0,006კგ.)*	ც.	60000	0	0,00100	0,00000
8	ყვავილების მორწყვა	ც.	60000	8	0,00002	9,60000
9	ყვავილების გამარგვლა	ც.	60000	1	0,00005	3,00000
10	ყვავილებისთვის ნიადაგის გაფხვიერება	ც.	60000	1	0,00005	3,00000
	სულ					15,60000
	დარიცხვები					
	ზედნადები ხარჯები %	10%				1,56000
	ჯამი					17,16000
	მოგება %	8%				1,37280
	ჯამი					18,53280
	დ.ღ.გ. 18%	18%				3,33590
	სულ					21,86870

წ.	ტერიტორიებზე წყლისა და ელექტროენერგიის დანახარჯი	ზომის ერთეული	მოცულობა	ღირებულება	
№	მომსახურების დასახელება			ერთეულის	სულ
1	სარწყავი ქსელების წყლის დანახარჯი	მ³	590	3,5000	2065,0000
	სულ				2065,0000

406 030 370
GREENSERVICE +
GREENSERVICE + Ltd.
GEORGIA

1	რიყის პარკი	ზომის ერთეული	ფართობი/ მოცულობა	მომსახურების ჯერადობა	ღირებულება	
№	მომსახურების დასახელება				ერთეული	სულ
	ბალახი					
1	ტერიტორიაზე არსებული ბალახის გაკრეჭა-გათიბვა ***(შესაბამისი მექანიზმებით)***	მ²	13550	1	0,01000	135,5000
2	ტერიტორიაზე გაკრეჭილი ბალახის შეგროვება, ა/ტრანსპორტზე დატვირთვა და გატანა ***(გაკრეჭისთანავე)***	მ³	13,55	1	1,00000	13,5500
3	ტერიტორიაზე არსებული ბალახის საფარის გაფოცხვა, დასუფთავება, საჭიროებისამებრ სარეველებისგან და თვითამონაყარი მცენარეებისაგან გასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენის შეგროვება და გატანა ***(ფოცხით ან შესაბამისი მანქანა მექანიზმებით)***	მ²	13550	25	0,00500	1693,7500
4	ტერიტორიაზე არსებული ბალახის საფარისთვის შესაბამისი მინერალური სასუქის შეძენა ***(ამონიუმის გვარჯილა)***	კგ.	406,5	0	0,10000	0,0000
5	ტერიტორიაზე არსებული ბალახის საფარისთვის შესაბამისი მინერალური სასუქის შეტანა ***(1მ²-ზე 0,03-0,04 კგ)***	მ²	13550	0	0,01000	0,0000
6	გაზონების მორწყვა ***(შხაპისებრი პრინციპით)***	მ²	13550	8	0,00100	108,4000
	ტერიტორიის დასუფთავება					
1	ტერიტორიის დასუფთავება ***(არსებობის შემთხვევაში სანაგვე ურნების დაცლა-გასუფთავება და საბაღე ფურნიტურის გაწმენდა-დასუფთავება)***, ნაგვის შეგროვება და შეგროვებული ნაგვის დაუყოვნებლივ გატანა, არსებული ბორდიურის გასწვრივ(წარბები), გზის გასუფთავება სარეველებისა და თვითამონაყარი მცენარეებისგან	მ²	31284	50	0,00180	2815,5600
2	ტერიტორიაზე არსებული გზა-ბილიკებისა და მოედნების მორეცხვა მორწყვა (შესაბამისი სარეცხი საშუალებების ღირებულების გათვალისწინებით)	მ²	31284	0	0,00100	0,0000
3	ტერიტორიაზე არსებული შუშის ჯებირების გაწმენდა-გარეცხვა (შესაბამისი სარეცხი საშუალებების ღირებულების გათვალისწინებით)	ც.	740	4	0,01	29,6000
	სულ					**4796,36**
	დარიცხვები					
	ზედნადები ხარჯები %	10%				479,63600
	ჯამი					5275,99600
	მოგება %	8%				422,07968
	ჯამი					5698,07568
	დ.ღ.გ. 18%	18%				1025,65362
						6723,72930
	სულ					

GREENSERVICE +
GREENSERVICE + Ltd
GEORGIA

821

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 31 დეკემბერი, 2013 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ ქ. თბილისში, რიყის პარკის ტერიტორიის მოვლა-პატრონობის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ქ. თბილისის მერის მოადგილე

დავით ნინიძე -

ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

გრიგოლ გურგენიძე -

ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი

ილია ათანასოვი -

ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსი

გიორგი ქორქაშვილი -

ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე

გიორგი ვაჩეიშვილი -

ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის შემოსასვლელების. შემოგარენის, სანაპიროების, პარკების, სარწყავი სისტემების ექსპლუატაციის აღდგენისა და მოწყობის განყოფილების უფროსი

გივი რუხაძე -

შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი (ტექნიკური ზედამხედველები):

ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის ბაღ-სკვერების, მოედნების ფერდობების, გაზონების, ყვავილნარების, ლანდშაფტების ექსპლუატაციის, აღდგენისა და მოწყობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი

გრიგოლ ძიძიგური -